www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 19 დეკემბერი, 2013 წელი. | №3432 (239) | ფასი 50

გიგი უგულავას ბრალი წარედგინა

თბილისის მერს, გიგი უგულავას ბრალი წარუდგინეს. გამოძიება მას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, თბილისის განვითარების ფონდისთვის დედაქალაქის რეაბილიტაციაგანვითარების მიზნით გამოყოფილი დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვას ედავება. საერთო ჯამში, საუბარია 48 მილიონი ლარის გაფლანგვაზე, რომელიც არა თბილისის განვითარებას, არამედ „ნაციონალურ მოძრაობას“ მოხმარდა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

სახალხო დამცველი: აუცილებელია გამოძიების დროულად დაწყება

უჩა ნანუაშვილი ვანო მერაბიშვილს საკანში ესაუბრა

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებას, რომელშიც მან მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე ზეწოლაში დააადანაშაულა, საქართველოს მთავრობის წევრები გამოეხმაურნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვანო მერაბიშვილის განცხადება „პრიმიტიულ პროვოკაციად“ შეაფასა და განაცხადა, რომ ვისაც ელემენტარული ლოგიკური აზროვნება აქვს, ამ განცხადებას მარტივად ამოხსნის.

„მერაბიშვილის განცხადებით, ამ „ფაქტს“ 4 დღის წინ ჰქონდა ადგილი. რატომღაც ეს ცნობილი ხდება მხოლოდ გუშინ, მაშინ, როდესაც მას სამი დღის განმავლობაში თავისუფლად შეეძლო, ადვოკატის ან სახალხო დამცველის შესვლა მოეთხოვა. როგორც ჩანს, ეს ძალიან კარგად გამიზნული პროვოკაციაა. წარმოიდგინეთ, ხვალ ვიღაცამ განაცხადოს, რომ ზეწოლა განახორციელეს მათი მოსაზრებით პოლიტიკურად დევნილ პატიმარზე. მაგალითად, შეიძლება თქვან, რომ ალასანიამ განახორციელა ზეწოლა ახალაიაზე, წულუკიანმა გაიტაცა კუბლაშვილი და ა.შ. ეს ძალიან პრიმიტიულად დაგეგმილი პროვოკაციაა,“ - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ამ დროს მას სთხოვენ, შეუჩერდეს უფლებამოსილება მთავარ პროკურორს და სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

საქართველოში 68 პროცენტი ევროინტეგრაციულ არჩევანს უჭერს მხარს



გვ. 2

ასადმა შეიძლება ძალაუფლება შეინარჩუნოს?

ივა შილაკაძე

სირიის ოპოზიციის დაქსასულობამ და ამ ბანაკში ისლამისტების მომძლავრებამ, როგორც ჩანს, დასავლეთი დააფიქრა პრეზიდენტ ასადისა და ალავიტების დატოვებაზე სირიის ხელისუფლებაში, ყოველ შემთხვევაში, ძალოვან უწყებებში. პარალელურად, თითქმის ბოლომდე ჩამოყალიბდა სირის ქიმიური არსენალის განადგურების გეგმა, რომელიც ბევრი სახელმწიფოს კოორდინირებულ მოქმედებას მოითხოვს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ბარაკ ობამა თავის ნაცვლად სოჭში ლგბტ აქტივისტებს გზავნის

გიგა გურასაშვილი

სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე 50 დღით ადრე (7-23 თებერვალი) ოფიციალურ დელეგაციათა მონაწილეობის საკითხი კვლავ აქტუალურია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ ქალაქში თავიანთ ოლიმპიელებს მიავლინებენ.

საქართველოში სოჭში წასვლასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებაა - ერთნი XXII თამაშების ბოიკოტის მოთხოვნით გამოდიან და არცთუ უმნიშვნელო არგუმენტებით ხელმძღვანელობენ, მეორენი კი სპორტისა და პოლიტიკის ერთმანეთისგან გამიჯვნისკენ მოგვიწოდებენ.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ქართველ ებრაელთა კულტურა ეროვნულ მუზეუმში

სოფიო ნემსაძე



ყველას კარგად გვახსოვს, რომ რამდენიმე დღის წინ საზოგადოების გარკვეული ჯგუფი მართლმადიდებელი ქართველებისა და მორწმუნე მრევლის სახელით ქართველ ებრაელებს დაუპირისპირდნენ, გააპროტესტეს რა თავისუფლების მოედანზე ხანუკის დღესასწაულის აღმნიშვნელი ღონისძიება. გაპროტესტებას მოჰყვა რამდენიმე მოქალაქისა და სასულიერო პირის საჯარო გამოსვლა, სადაც თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენდნენ ებრაელების რელიგიური დღესასწაულის დანიშნულებისა და საფრთხეების თემაზე.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებას არ გეგმავს

რუსეთის ფედერაციის საბჭოს წინაშე საგარეო პოლიტიკის შესახებ მოხსენებით გამოსვლისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ

რუსეთი საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოსაღებად მზად არ არის. მინისტრის თქმით, რუსეთის ხელისუფლება ადამიანებს შორის კონტაქტების გაგრძელების მომხრეა. როგორც ლავროვი აღნიშნავს, რუსეთმა ვიზების გაცემის პროცედურის საგრძნობი ლიბერალიზაცია განახორციელა, განსაკუთრებით იმ ტიპის ვიზებისა, რომლებიც ჰუმანიტარული ვიზიტების, ნათესავების მონახულების, კულტურული და ახალგაზრდული გაცვლით პროგრამებისთვის გაიცემა.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე ამბობს, რომ მას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან მოლაპარაკებებისას ვიზების გაუქმების შესახებ არ უსაუბრია. **„განხილვის საგანია საქართველოს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვს სავიზო რეჟიმის ნაბიჯ-ნაბიჯ გამარტივება. ზოგადად რუსეთი სამეზობლოსთან სავიზო და საემიგრაციო რეჟიმს ამკაცრებს და ამიტომ, გაუქმების მოლოდინი არ გვაქვს,“** - აღნიშნავს აბაშიძე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, საქართველოს მთავრობამ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის ყველაფერი გააკეთა. პრემიერის თქმით, შეიცვალა საქართველოს მთავრობის რიტორიკა და აქტიურად დაიწყო რუსეთთან კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა.

„დაველოდოთ, როდესაც მზად იქნებიან, ამის შემდეგ შეიძლება, კომუნიკაცია გვქონდეს. ჩვენ ყველაფერი ვცადეთ არსებული დაძაბული ურთიერთობების ნორმალიზებისთვის და ვფიქრობ, ეს შევძელით,“ - აღნიშნავს ღარიბაშვილი და განაგრძობს, - **თუმცა, სამწუხარო და აბსოლუტურად შეუთავსებადია რუსეთის მხრიდან მიმდინარე პროვოკაციული ქმედებები საოკუპაციო ხაზთან და მიმდებარე სოფლებში. საქართველოს მთავრობა არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ქმედებით ადასტურებს, რომ კონსტრუქციულია და რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება რეალურად სურს.**

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის თქმით, სერგეი ლავროვის განცხადებიდან ტრაგედიისშექმნა არ ღირს. **„სხვა ქვეყნებთანაც გვაქვს სავიზო რეჟიმი და არავითარი პრობლემა არ არის,“** - თქვა ალექსი პეტრიაშვილმა.

სახელმწიფო მინისტრი აღნიშნავს, რომ საქართველო მომავალშიც გააგრძელებს სავარაუდო თანამშრომლობას იმ სფეროებში, რომლებშიც რეალური წინსვლა შესაძლებელია. მაგრამ, როგორც პეტრიაშვილი აცხადებს, რუსეთის ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ საქართველო ტერიტორიული მთლიანობის, ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებს არასდროს გადახედავს.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ **„საქართველო რუსეთისგან მთლიანად ჩახსნილია. ვისაც ეჭვი ეპარტებოდა, ვილნიუსის სამიტმა ყველას დაუდასტურა, რომ საქართველოს მკაფიო პოზიცია აქვს და ევროპისკენ მიდის. ერთადერთი საშუალება ის არის, რომ ჩვენს აფხაზ და ოს მოსახლეობას ევროპული კონტექსტიდან ვესაუბროთ.“**

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი კანდელაკი ხელისუფლებას სიფრთხილისკენ მოუწოდებს. დეპუტატის აზრით, გარკვეული ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრის გახსნის გამო საქართველოს მთავრობა ილუზიაში არ უნდა ჩავარდეს.

„რისკი ის არის, რომ მოლდავეთის მაგალითის გათვალისწინებაა საჭირო, რათა საქართველო ისევ რუსეთის ბაზარზე დამოკიდებული არ გახდეს,“ - თქვა გიორგი კანდელაკმა.

საკუთარი ინფორმაცია

დვანთან რუსმა სამხედროებმა მავთულხლართების მონტაჟი განაახლეს

ქარელის რაიონში გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელ დვანთან ცოტა ხნის წინ რუსი სამხედროები გამოჩნდნენ და სოფლის მიმართულებით მავთულხლართების მონტაჟი განაახლეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ადგილობრივები შიშობენ, რომ აღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობის მონტაჟის შედეგად დვანელების კუთვნილი მიწის ნაკვეთები ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოექცევა.

გამყოფ ხაზთან აღნიშნული სასაზღვრო ნაგებობის მონტაჟი, დაახლოებით, ორი თვის წინ შეჩერდა და მხოლოდ გუშინ გაგრძელდა.

საქართველოში 68 პროცენტი ევროინტეგრაციულ არჩევანს უჭერს მხარს

NDI-მ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები წარმოადგინა, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხებისადმი დამოკიდებულებას ასახავს. კვლევის თანახმად, უმთავრესი ეროვნული საკითხი, მოსახლეობის 62 პროცენტის აზრით, კვლავ სამუშაო ადგილებია; 39 პროცენტი ტერიტორიულ მთლიანობას ასახელებს; 31 პროცენტი - ხელმისაწვდომ სამედიცინო მომსახურებას, 30 პროცენტი - სიღარიბეს, 23 პროცენტი - პენსიებს, 17 პროცენტი - ხელფასებს, 15 პროცენტი - რუსეთთან ურთიერთობას, 13 პროცენტი - ადამიანის უფლებებს, 13 პროცენტი - განათლებას, 10 პროცენტი - ინფლაციას, 9 პროცენტი - ნატო-ში გაწევრიანებას, 5 პროცენტი - სიტყვის თავისუფლებას, 4 პროცენტი - სასამართლო სისტემას, 3 პროცენტი - ევროკავშირში გაწევრიანებას და სხვ.

NDI-ს მონაცემებით, საქართველოში კაცების 39 პროცენტი თავს დასაქმებულად მიიჩნევს, 61 პროცენტი კი - დაუსაქმებლად; ქალების 25 პროცენტი პასუხობს, რომ დასაქმებულია, 75 პროცენტი თავს უმუშევრებს მიაკუთვნებს.

მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს, სამსახურის პოვნის საკითხს განსხვავებულად აფასებს.

დაუსაქმებელთა მხოლოდ 44 პროცენტი აღნიშნავს, რომ სამსახურს ეძებს, 23 პროცენტი პენსიონერია და სამსახურის პოვნით დაინტერესებული არ არის, 11 პროცენტი დიასახლისია, 6 პროცენტი - სტუდენტი, 5 პროცენტი პასუხობს, რომ უმუშევარია და სამსახურის პოვნით დაინტერესებულია, თუმცა ამჟამად სამუშაოს არ ეძებს. 4 პროცენტი ამბობს, რომ უმუშევრობის მიუხედავად, სამსახურის პოვნით დაინტერესებეული არ არის. 3 პროცენტი, რომელიც პენსიონერია და სამსახურის პოვნით არის დაინტერესებული, ამჟამად სამუშაოს არ ეძებს. 2 პროცენტი პენსიონერია, რომელიც სამსახურს ეძებს, ასევე 2 პროცენტს შეადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

კითხვას - 2012 წლის ოქტომბერთან შედარებით, როგორ შეიცვალა საქართველოში მდგომარეობა? გამოკითხულთა 75 პროცენტი პასუხობს, რომ სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით ვითარება უცვლელია. 12 პროცენტი დასაქმების მიმართულებით მდგომარეობის გაუარესების შესახებ საუბრობს, 7 პროცენტი დასაქმების საკითხის გაუმჯობესების შესახებ მიუთითებს, 6 პროცენტმა უპასუხა - „არ ვიცი.“

რაც შეეხება ცვლილებებს სხვა მიმართულებებით, მოსახლეობის 80 პროცენტის აზრით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა.

კვლევაში დადებით ტენდენციებზეც არის საუბარი, გამოკითხულთა 66 პროცენტი პენსიის ზრდის შესახებ საუბრობს; 41 პროცენტი ციხეებში პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მიუთითებს, 43 პროცენტი გაუმჯობესებას სიტყვის თავისუფლების მიმართულებით ხედავს; 38 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით უკეთესი ვითარებაა.

NDI-ს კვლევები 2013 წლის 13 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე არსებულ განწყობას ასახავს. საქართველოს მასშტაბით ქართულენოვან მოსახლეობაში 3 915 რესპონდენტი პირდაპირი ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე გამოკითხეს. NDI-ს კვლევებს, რომელიც კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა ჩაატარა, შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) აფინანსებს.

კვლევაში განსაკუთრებით საყურადღებოა ევროინტეგრაციის პროცესისადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 85 პროცენტი დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს, რომ ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდეს. ეს მაშინ, როცა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას (მთავრობის სურვილის მიუხედავად) რესპონდენტთა 68 პროცენტი მხარს უჭერს.

NDI-ს სოციოლოგიური კვლევის კითხვარში ევრაზიული კავშირის საკითხი პირველად შეიტანეს. ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას საქართველოს მოსახლეობის 11 პროცენტი ემხრობა.

NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორის ლუის ნავაროს თქმით, წინა კვლევასთან შედარებით, საქართველოში გაზრდილია როგორც ევროკავშირში, ასევე ნატო-ში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა.

„შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ნავარომ „ბი-ბი-სი“-ს მიერ გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები გაიხსენა, რომელიც უკრაინაში საპროტესტო აქციების დაწყებისას საზოგადოების განწყობას ასახავდა. როგორც ნავარო აღნიშნავს, ევროკავშირში გაწევრინებას უკრაინის მოსახლეობის 44 პროცენტი უჭერს მხარს, ხოლო 33 პროცენტს საწინააღმდეგო პოზიცია აქვს.

სექტემბერში ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის მომხრეთა რაოდენობა 10 პროცენტით ნაკლებია და 66 პროცენტს შეადგენს.

მოსახლეობის 48 პროცენტი საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების გავლებაზე საქართველოს მთავრობის რეაგირებას დადებითად აფასებს, 28 პროცენტი - უარყოფითად.

გამოკითხულთა 36 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ეს საფრთხე გაზვიადებულია; 35 პროცენტი რუსეთს რეალურ და არსებულ საფრთხედ მიიჩნევს; 23 პროცენტის აზრით, რუსეთი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს.

2008 წლიდან დღემდე პირველად NDI-ს კვლევების შედეგებში გამოკითხულთა 54 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში ამჟამად დემოკრატიაა.

70 პროცენტამდეა გაზრდილი მოსახლეობის იმ ნაწილის რაოდენობა, რომელიც მიიჩნევს, რომ უმცირესობების უფლებების დაცვა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია. 18 პროცენტს ამ საკითხის მიმართ ნეიტრალური პოზიცია აქვს; გამოკითხულთა 4 პროცენტი ფიქრობს, რომ უმცირესობების უფლებების დაცვა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოა, ხოლო ერთი პროცენტის აზრით, ეს საკითხი სრულიად უმნიშვნელოა; ამასთან, გამოკითხულთა 7 პროცენტს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

კითხვას - როდესაც ფიქრობთ უმცირესობის ჯგუფებზე, რომელი ჯგუფები გახსენდებათ პირველ რიგში? მოსახლეობის 25 პროცენტი პასუხობს, რომ რელიგიური უმცირესობები, 22 პროცენტი ეთნიკურ უმცირესობებს ასახელებს, 18 პროცენტი -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, 15 პროცენტი - იძულებით გადაადგილებულ პირებს, 14 პროცენტი - სექსუალურ უმცირესობებს, 7 პროცენტი - პატიმრებს, გამოკითხულთა 41 პროცენტს კითხვაზე პასუხი არ აქვს, 8 პროცენტი სხვა ჯგუფებს ასახლებს, 3 პროცენტი - ქალებს. ერთი პროცენტი კი პასუხის გაცემაზე უარს აცხადებს.

კვლევაში ცალკე თავი ეთმობა მიმდინარე მოვლენებს. კითხვაზე - მოგწონთ თუ არა ბიძინა ივანიშვილის მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტზე დასახელებული კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი? 79 პროცენტი პასუხობს - დიახ, 8 პროცენტი - არა, 12 პროცენტი - არ ვიცი, ერთი პროცენტი - უარი პასუხზე.

გამოკითხულთა 45 პროცენტი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობიდან წასვლა დიდ გავლენას არ მოახდენს, რადგან ის ისევე აქტიურად იქნება ჩართული პოლიტიკისა და მმართველობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოკითხულთა 14 პროცენტი ფიქრობს, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ხელს შეუწყობს მრავალპარტიული დემოკრატიისა და სამთავრობო ინსტიტუტების შემდგომ განვითარებას. ასევე, 14 პროცენტის აზრით, ყოფილი პრემიერის სამოქალაქო საზოგადოებაში გადასვლა ქვეყნის მმართველობასა და კოალიციაში გაურკვევლობას და არასტაბილურობას წარმოშობს.

საკუთარი ინფორმაცია

ბისეკ-ის სესიის მეორე დღე თბილისში

გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის 42-ე პლენარულ სესიას ასამბლეის პრეზიდენტმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიმართეს.

ბისეკ-ის ქვეყნების პარლამენტარების წინაშე უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ თავის დროზე ორგანიზაცია შეიქმნა რეგიონის ქვეყნების მშვიდობიანი, სტაბილური და უსაფრთხო განვითარებისთვის, რაშიც ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებს შეაქვთ წვლილი. **„შავი ზღვის რეგიონი შედგება ქვეყნებისგან, რომლებსაც აქვთ საერთო საზღვრები, საერთო გეოგრაფიული მდებარეობა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ საერთო სტრატეგიული მიზნები. ამ ორგანიზაციამ დაამტკიცა, რომ მიუხედავად სხვადასხვა სფეროებში ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებისა, მათ საერთო მიზნების მისაღწევად თანამშრომლობა შეუძლიათ,“** - ამბობს უსუფაშვილი. როგორც უსუფაშვილმა აღნიშნა, საქართველოს პარლამენტი ამაყია იმით, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში ბისეკ-ის საპარლამენტო ასამბლეას ხელმძღვანელობდა და მის წარმატებულ საქმიანობაში გარკვეული წვლილი შეიტანა.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, ბისეკ-მა ბევრ გამოცდას გაუძლო და მიუხედავად იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა მიმართულებებით პრობლემები აქვთ, ორგანიზაციის ფარგლებში ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ და საფინანსო სფეროებში კვლავ ინტენსიური და ნაყოფიერი თანამშრომლობაა. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციის სისტემაში საპარლამენტო კომპონენტის ჩართვა და გააქტიურება, რათა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საქმეში პოლიტიკურმა ძალებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ.

პრემიერ მინისტრი საქართველოს დატვირთვაზე ამახვილებს ყურადღებას.

საქართველო ღიაობის, სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის შესრულების, სატრანსპორტო გარემოს გაუმჯობესების, ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის, ენერგეტიკის წარმოებისა და გატარებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს,“ - თქვა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ სპორტი პოლიტიკისგან თავისუფალი უნდა იყოს. **„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულია, პირველი ნაბიჯები რუსეთთან სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მიმართულებით უკვე გადავდგით და ამ კუთხით მუშაობა გრძელდება. ამ კონტექსტში მინდა, გითხრათ, რომ ჩვენი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებენ,“** - თქვა ღარიბაშვილმა.

სესიის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოლდავეთის პარლამენტის თავმჯდომარემ იგორ კორმანმა. **ამ ორგანიზაციის შექმნაში მოლდავეთმა თავისი წვლილი შეიტანა. მას ყოველთვის მიაჩნდა, რომ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია ეფექტური გაერთიანებაა, რომელიც შავი ზღვის რეგიონისთვის ეკონომიკური გარდაქმნის, კეთილდღეობის, მშვიდობის და უსაფრთხოების მიღწევის მიზნით თანამშრომლობას კვლავ გააგრძელებს,“** - ამბობს კორმანი.

დღეს სესიის დახურვის ცერემონიალი გაიმართება. 42-ე სესიის განმავლობაში გათვალისწინებულია შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის, ასევე შავი ზღვის კვლევების საერთაშორისო ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ დისკუსია. ეკონომიკურ, კომერციულ, ტექნოლოგიურ და გარემოს დაცვის საკითხებზე კი სესიის მონაწილეები რეკომენდაციებს შეიმუშავებენ.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

გიგი უგულავას ბრალი წარედგინა

პირველი გვერდიდან

უგულავას წინააღმდეგ ძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

თუმცა, ბრალის წარდგენის მიუხედავად, დედაქალაქის მერი გიგი უგულავა დაკავებული არ არის.

„თბილისის მერს გიორგი უგულავას წარედგინა ბრალდება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ აიპ „თბილისის განვითარების ფონდისთვის“ დედაქალაქის რეაბილიტაცია-განვითარებისთვის გამოყოფილი დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ფაქტზე.

საქმეზე შეკრებილი უტყუარი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ ქ. თბილისის რეაბილიტაციის მიზნით 2010 წლის 16 ივლისს ქ. თბილისის მერიამ დააფუძნა „თბილისის განვითარების ფონდი“.

თბილისის მერმა და ამავდროულად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი უგულავამ, მერიის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, შეიმუშავა დანაშაულებრივი სქემა თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი თანხებით 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ხარჯების დასაფინანსებლად.

2011 წლის ნოემბერში, ორგანიზებული ჯგუფის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, ქ.თბილისის მერის გიორგი უგულავას დავალებით, დამზადდა პლასტიკური სახელფასო ბარათები „თბილისის განვითარების ფონდში ფიქტიურად გაფორმებული, შენობის კვლევის 719 სპეციალისტისთვის, რომლებიც რეალურად წარმოადგენდნენ არა ფონდის თანამშრომლებს, არამედ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს. დამზადებულ პლასტიკურ ბარათებზე უკანონოდ ირიცხებოდა თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი თანხები, რომლებიც წინასაარჩევნოდ გაწეული პარტიული საქმიანობის სანაცვლოდ ხელფასის სახით ურიგდებოდათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ აქტივისტებს - უბნის უფროსებს და მიკროკორდინატორებს. ამ გზით 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით პარტიული ინტერესებისთვის მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი 13 852 497 ლარი.

მოგვიანებით, 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით, გიორგი უგულავას დავალებით, დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებს თბილისის განვითარების ფონდის“ ანგარიშიდან საბანკო ჩეკების გამოყენებით გამოჰქონდათ პარტიული აქტივისთვის დასარიგებელი სახელფასო თანხა, რომელიც კოორდინატორების რაოდენობის მიხედვით ეტაპობრივად ხელზე გადაეცემოდათ პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, ხოლო მათი მეშვეობით უშუალოდ პარტიულ აქტივისტებს. აღნიშნული გზით მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი 34 328 463 ლარი.

თბილისის მერის გიორგი უგულავასა და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების მიერ, პარტიული ინტერესებისთვის, მთლიანობაში მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი 48 180 960 ლარი, რომელიც მოხმარდა არა ქ. თბილისის განვითარებასა და რეაბილიტაციას, არამედ პოლიტიკური პარტიის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას,“ - აღნიშნულია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ამავე დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცნენ თბილისის მერის ყოფილი მოადგილე დავით ალავიძე, „თბილისის განვითარების ფონდის“ ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი საბანაძე, მერიის შესყიდვების სამსახურის ყოფილი უფროსი ალექსანდრე თაბუაშვილი, ძველი თბილისის ყოფილი გამგებელი დავით ავალიანი და მისი მოადგილე დიმიტრი ჩხაიძე.

გუშინ, დაკითხვის შემდეგ, გიგი უგულავამ მთავარი პროკურატურა დატოვა და ჟურნალისტებთან კომენტარიც გააკეთა.

უგულავას განცხადებით, საქმე აბსურდულია.

„განსხვავება ის არის, რომ თბილისის მაგივრად რუსთავის სასამართლოში ვივლი. მოდის ადგილობრივი არჩევნები და უჭირს მთავრობას, რადგან ივანიშვილმა არაადეკვატური და უსუსური კანდიდატი დატოვა და ახლა ფიქრობენ, როგორ შეასაღონ ეს კანდიდატი თბილისს,“ - აღნიშნა გიგი უგულავამ. დედაქალაქის მერის თქმით, ამისთვის აუცილებელია, ყველა სხვა კანდიდატის ჩამოშორება და ბუტაფორული კანდიდატების შექმნა, დღევანდელი დღეც მხოლოდ და მხოლოდ ამას ემსახურება.

„მინდა, მათ გასაგონად ვთქვა, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო: რუსთავში კი არა, მესტიის სასამართლოში ვივლი, იქაც დავამტკიცებ, რომ უდანაშაულო ვარ და შესაბამისად, ჩემ წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება საპნის ბუშტივით გასკდება,“ - განაცხადა გიგი უგულავამ.

მისივე თქმით, ყველამ კარგად იცის, რომ მთავარი პროკურორი და ირაკლი ღარიბაშვილი მსგავს საკითხებს არ წყვეტენ და სინამდვილეში ეს ბიძინა ივანიშვილის პირადი შურისძიებაა.

„რაც არ უნდა დაიმალოს, ცხრა მთას იქით გადაიკარგოს, ეს არის შურისძიება, რომელიც დაიწყო ივანიშვილმა. ცუდი ამ ყველაფერში არის არა ის, რომ მე დამიბარეს სადღაც, ეს არც პირველია და ალბათ არც უკანასკნელი, მოლოდინიც არანაირი არ მაქვს. თავზეხელაღებული ხალხია, რომელთაც ჭკუა არ მოეკითხებათ. მერაბიშვილის საქმეზეც ვნახეთ, რომ აბსოლუტურად უგუნური და ბრიყვული საქციელი ჩაიდინეს,“ - აღნიშნა უგულავამ.

მისივე თქმით, როგორც ჩანს, ხელისუფლებას უკვე გამოძიების მიმართულებით აქვს პრობლემები და საკუთარი რიტორიკის მსხვერპლი გახდა.

„ამ ყველაფერს ივანიშვილი ორკესტრირებს და ნუ შევიქმით ილუზიას, რომ ამას ვინმე სხვა აკეთებს. ფარცხალაძე იქნება თუ სხვა, ჩვეულებრივი ცახესები არიან. ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ აგერ უკვე ერთ წელიწადში როტაცია გააკეთეს და ნაცვლიშვილის ალი-კვალიც არავინ იცის. ასე მოუვა ფარცხალაძესაც, რადგან ის უკანონობას ემსახურება. ყველაზე ცუდი ამ ისტორიაში არის ის, რომ დღევანდელი ხელისუფლება, რომელსაც მცირე შანსი ჰქონდა, დაემთავრებინა ეს ბაკქანალია და იმ პრობლემებზე ეფიქრა, რომლებიც ქვეყანაშია და ერთ წელიწადში გაცილებით მეტი დაგროვდა, ისევ შურისძიებით მოქმედებს. შურისძიების გზა ეკონომიკურ კოლაფსამდე და ქვეყნის საფუძვლის მოსპობამდე მიგვიყვანს,“ - განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, დღევანდელი ვითარება იქამდე მივა, რომ ევროპა, უკრაინისგან განსხვავებით, თავად იტყვის საქართველოზე უარს.

მთავარ პროკურატურასთან გიგი უგულავას მხარდამჭერი აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები, რომელთა შორის „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებიც იყვნენ, თბილისის მერს აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ გიგი უგულავამ მხარდამჭერებს სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ დღეიდან წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო.

თბილისის მერის განცხადებით, სამწუხაროდ, მთავრობამ წინასაარჩევნო კამპანია სიბინძურით, პროკურატურით, ბრალდების წაყენებით და დაშინებებით დაიწყო. მისივე თქმით, მთავრობა მთავრობაში კი არ მოვიდა, არამედ - მარტო პროკურატურაში და ჰგონიათ, რომ ასე მართავენ ქვეყანას.

„ასე ნამდვილად არ გაგრძელდება, ეს ფუფუნება მათ აღარ ექნებათ და ადგილობრივ არჩევნებზე თითოეულ გაყალბებულ ხმას გამოვეკიდებით, თითოეულ ხმას დავიცავთ. მათ გახსნეს ცეცხლი უზნეოდ, ეს არის გზა, რომელიც მათ აირჩიეს, ეს არ არის ჩემი არჩევანი,“ - განაცხადა უგულავამ. მისივე თქმით, მას არც ერთ სასამართლოზე, არც ერთ საგამოძიებო ორგანოში სიარული არ გაუჭირდება.

„პირობას გაძლევთ, კამპანიას ჩავატარებთ ამ დამცირებების და შეურაცხყოფების პარალელურად, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მივცემ უფლებას, რომ თავისი პონი შეასაღონ თბილისს,“ - აღნიშნა გიგი უგულავამ, რის შემდეგაც მან პროკურატურის მიმდებარე ტერიტორია დატოვა.

„ეს ვერ გაგვაჩერებს!“ - ასე გამოეხმაურა გიგი უგულავას შესახებ პროკურატურის გადაწყვეტილებას უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია.

ბოკერიას განმარტებით, პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, მთავრობა პოლიტიკური ოპონენტების განადგურების მცდელობით არის დაკავებული.

ამასთან, გიგი უგულავასთვის ბრალის წარდგენის ფაქტზე კომენტარი გაიკეთა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ამჟამად პატიმრობაში მყოფმა ვანო მერაბიშვილმა.

მერაბიშვილის თქმით, იგი მზად არის, უგულავა დაკავების შემთხვევაში საკუთარ საკანში მიიღოს და საკნის ცხოვრებას შეაჩვიოს.

„თუკი ხელისუფლებას ღმერთი გაუწყრება და გიგი უგულავას დააპატიმრებს და თუკი მთავარი პროკურორი შეასრულებს სიტყვას, რომ უგულავას გვერდით მომისვამს, სიამოვნებით მივიღებ გიგის, ოთხადგილიანი საკანი მაქვს და ციხესთან შეგუებაში დავეხმარები,“ - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

სახალხო დამცველი: აუცილებელია გამოძიების დროულად დაწყება

პირველი გვერდიდან

„შემდეგ მოითხოვენ ალასანიაზე, წულუკიანზე და ა.შ. მათი ეს მარტივი პროვოკაცია გათვლილია მთავრობის დისკრედიტაციაზე. მეორე ვერსია კიდევ უფრო სარწმუნოა, თუმცა არ გამოვრიცხავ, ორმაგი ეფექტიც არსებობდეს. ძალიან საეჭვოდ დაპანიკდნენ მას შემდეგ, რაც ახალმა პროკურორმა ჟვანიას საქმის გადახედვა და გამოძიება დაიწყო და ორი დღის წინ პროკურატურამ დააკავა ჟვანიას დაცვის ყოფილი წევრი, რომელიც ჟვანიას გარდაცვალებისას შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. ეს ყველაფერი ძალიან მარტივი ამოსახსნელია, ამიტომ ყველას მოვუწოდებ, ეს აჟიოტაჟი დამთავრდეს, მთავრობას ნორმალური მუშაობის საშუალება უნდა მიეცეს. ჩვენ არ ავყვებით არც ერთ პროვოკაციას. ჩვენ არ გვაქვს იმის დრო და კომფორტი, რომ მერაბიშვილის თუ სხვა ადამიანების განცხადებებს გამოვეხმაუროთ და მათ განცხადებებზე მინისტრებს და პროკურორებს უფლებამოსილება შევუჩეროთ,“ - განაცხადა ღარიბაშვილმა და აღნიშნა, რომ მთავრობას უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალი და გაცილებით მეტი საქმე აქვს გასაკეთებელი.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარის მტკიცებით, ვანო მერაბიშვილი ციხიდან არ გაუყვანიათ. სუბარმა მერაბიშვილის ბრალდებას ტყუილი უწოდა.

„ვანო მერაბიშვილი არ ყოფილა ციხიდან გაყვანილი. ეს აბსოლუტური ტყუილია. შაბათ-კვირას და, თუ არ ვცდები, ორშაბათს მასთან ადვოკატი იყო შესული და ძალიან დიდხანს საუბრობდნენ. ეს რომ მომხდარიყო, მერაბიშვილი აღნიშნულის შესახებ განცხადებას მაშინვე გააკეთებდა, იმავე დღეს მოითხოვდა გამოძიების დაწყებას და კადრების ამოღებას, მაგრამ როცა ნახა, რომ ვიღაც ადამიანები დაიჭირეს, რომ ახალ ბრალს უყენებდნენ, მაშინ გადაწყვიტა ასეთი ტიპის აპელირების გაკეთება,“ - განაცხადა სოზარ სუბარმა.

რაც შეეხება ვიდეოჩანაწერის ამოღებას, რასაც მერაბიშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ მოითხოვენ, სუბარის განმარტებით, ეს მანამდე ვერ მოხდება, ვიდრე გამოძიება არ დაიწყება.

„კადრები ვერ იქნება ამოღებული, რადგან არასერიოზულ თემებზე გამოძიება არ იწყება. თუ გამოიება დაიწყება, ფირს გამოძიება ამოიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის ხელის ხლების უფლება არავის აქვს, მათ შორის არც მე. ეს არის საიდუმლო მასალა, რომელიც კანონით დაცული წესით იწერება და სამინისტროს მასთან პირდაპირი წვდომა არ აქვს,“ - აღნიშნა სუბარმა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის თქმით, გამორიცხულია, მომხდარიყო ის, რის შესახებაც ვანო მერაბიშვილი საუბრობს, თუმცა პატიმრის ნებისმიერი განცხადება სერიოზულ მიდგომას საჭიროებს.

„ნებისმიერი განცხადება, რომელიც შეიძლება, პატიმარმა გააკეთოს, საჭიროებს სერიოზულ მიდგომას, ვიდრე შეფასებას გავაკეთებთ, ასე წერია კანონში, მაგრამ მე პირადად გამოვრიცხავ, რომ ის მომხდარიყო, რაზეც მერაბიშვილი საუბრობს,“ - განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინიტრთა კაბინეტის წევრებისგან განსხვავებულ პოზიციაზეა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“.

ორგანიზაცია მერაბიშვილის განცხადებაში მოყვანილ ინფორმაციაზე ხელისუფლების არაადეკვატური რეაგირების გამო შეშფოთებას გამოხატავს და შესაბამის უწყებებს მოუწოდებს, უზრუნველყოფილი იყოს გამოძიების ობიექტურად, შემჭიდროვებულ ვადებში წარმართვა და მაქსიმალური გამჭვირვალობა.

„ივანე მერაბიშვილის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები საგანგაშოა და შეიცავს საკმაოდ სერიოზულ ბრალდებებს. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ფაქტის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას სახელმწიფო სერიოზულად უნდა მოეკიდოს და უზრუნველყოს სწრაფი, ობიექტური და ეფექტური გამოძიების ჩატარება. აღნიშნული განსაკუთრებით აუცილებელია იმ ფონზე, როდესაც სავარაუდო ზეწოლის ფაქტი ეხება ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომლის მიმართ პატიმრობის გამოყენებისა და მიმდინარე საქმის სიმყარის თვალსაზრისით საზოგადოებაში სამართლიანად არსებობს მთელი რიგი კითხვები.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთა პირველადი შეფასებები გავრცელებული განცხადების შესახებ. საჯარო პირების მიერ გაკეთებული განცხადებები ასახავს გარკვეულ წინასწარ განწყობებს და საფრთხის შემცველია გამოძიების ობიექტურობის და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით. მათ შორის ყველაზე საგანგაშოა თავად პროკურატურის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ არ აპირებენ ხსენებული საქმის გამძიებას.

არანაკლებ დამაფიქრებელია პარლამენტარ თინათინ ხიდაშელის განცხადებაც, რომელმაც რამდენჯერმე აღნიშნა, რომ თუ მერაბიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსი არ დადასტურდება, ის უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ცრუ ბრალდებისთვის. აღნიშნული პოზიცია შემაშფოთებელია და ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საკანონმდებლო წესრიგს,“ - აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში.

გუშინ, დღის ბოლოს, ვანო მერაბიშვილი ე.წ. მატროსოვის ციხეში სახალხო დამცველმა მოინახულა.

„ჩვენ საათნახევარი ვისაუბრეთ და მერაბიშვილმა მოჰყვა დეტალები, რაც რამდენიმე დღის წინ მოხდა. ის გაკვირვებულია, რომ გამოძიება არ დაწყებულა. მერაბიშვილი მზად არის, გამოძიებასთან ითანამშრომლოს და ინფორმაცია დეტალურად მიაწოდოს,“ - აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერის განცხადებაზე გამოძიების დროული დაწყება აუცილებელია.

„აუცილებელია გამოძიების დაწყება, რათა ყველაფერს გაეცეს პასუხი. ეს პროცესი რაც უფრო დაგვიანდება და დროში გაიწელება, ვფიქრობ, შესაძლოა, უფრო მეტი კითხვის ნიშანი გაჩნდეს იმის შესახებ, თუ რატომ არ ხდება განცხადებაზე რეაგირება. აუცილებელია, რომ ზეწოლის შესახებ ნებისმიერმა განცხადებამ გამოძიების სახე მიიღოს,“ - განმარტა სახალხო დამცველმა.

თავად ვანო მერაბიშვილის თქმით, მის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე გამოძიება ამ დრომდე არ დაწყებულა: **„24 საათის წინ გავაკეთე ძალიან სერიოზული განცხადება და ამ დრომდე არ ჩატარებულა არანაირი გამოკითხვა და არც დაწყებულა რაიმე საგამოძიებო ღონისძიება. დარწმუნებული ვარ, გამოძიება არც ჩატარდება. ძნელია, იპოვო პატიოსანი პროკურორი, ვინც ამ საქმეს მოკიდებს ხელს. ეს საქმე განწირულია,“** - განაცხადა მერაბიშვილმა გუშინ საქალაქო სასამართლოში 26 მაისის საქმის განხილვისას. მისი თქმით, ხელისუფლება ფიქრობს, წაშალოს თუ არა ციხის სათვალთვალო კამერების მასალა.

„დიდი ხანი ვიმუშავე სისტემაში და ვიცი, რომ ნებისმიერი მცდელობა, ვიდეოში თარიღი წაიშალოს ან გამოსახულება დამახინჯდეს, ექსპერტიზის დროს აისახება,“ - განაცხადა მერაბიშვილმა.

ვანო მერაბიშვილი თავისი განცხადების შესახებ მთავრობის წევრთა კომენტარებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილი ყველაზე კარგი ფსიქოანალიტიკოსია.

„მოვისმინე გუშინდელი გამოსვლები, რომლებიც შეურაცხმყოფელი იყო, გიჟად გამომაცხადეს. ბევრს შეიძლება, სიგიჟედ მოეჩვენოს ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ 9 წლის განმავლობაში, ასეთი პროგრესი მხოლოდ არანორმალურებს თუ შეუძლიათ. გუშინ მოვისმინე, თქვეს, რომ ჩემს განცახდებაზე კომენტარი ფსიქოანალიტიკოსებს უნდა სთხოვოთ, ყველაზე კარგი ფსიქოანალიტიკოსი ბიძინა ივანიშვილია,“ - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა გუშინდელ სასამართლო პროცესზე.

რაც შეეხება სასამართლო პროცესს, გუშინ 26 მაისის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო, რომლის ფარგლებშიც დაცვის მხარემ შესავალი სიტყვა წარმოთქვა. მერაბიშვილის ადვოკატებმა, 26 მაისის აქციაზე გადაღებული ვიდეომასალის დახმარებით, საკუთარ შესავალ სიტყვაში დააფიქსირეს პოზიცია, რომ აქციის დაშლა ლეგიტიმური იყო.

დაცვის მხარემ პროცესზე ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი ქვეყნების მაგალითები მოიყვანა. ადვოკატმა ოთარ კახიძემ პროცესზე წარადგინა აქციის დაშლის ამსახველი ვიდეომასალები გერმანიიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, ასევე ამერიკიდან და ესპანეთიდან. ადვოკატმა აღნიშნა, რომ პოლიცია ყველა ქვეყანაში იყენებს ძალას, თუკი კანონის დარღვევას აქვს ადგილი. ლეგიტიმური ძალის გამოყენებას კი, ადვოკატის თქმით, ხშირად სდევს ადამიანების ფიზიკური დაზიანება.

ოთარ კახიძემ განაცხადა, რომ მიტინგის დაშლის შესახებ ვანო მერაბიშვილის ბრძანება სამხედრო აღლუმის ჩატარების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად, რასაც დანაშაულთან არავითარი კავშირი არ გააჩნია. ადვოკატის თქმით, საქმე, რომელსაც მერაბიშვილს ედავებიან, წმინდა წყლის პოლიტიკური პროცესია.

შესავალი სიტყვა ადვოკატის შემდეგ თავად ბრალდებულმა ვანო მერაბიშვილმა წარმოთქვა. როგორც მან აღნიშნა, 26 მაისის საქმეში პროკურატურას მოწმეებად დაზარალებულები ჰყავს და შეუძლებელია, დაზარალებულმა პირებმა ობიექტური ჩვენება მისცენ. მერაბიშვილი მისთვის 26 მაისის საქმეში წაყენებული ბრალით გაკვირვებულია, რადგან, მისი თქმით, მაშინ არალეგიტიმური არაფერი ყოფილა.

ნატო ავღანეთიდან ჯარების გაყვანის გეგმის შედგენას გაზაფხულისთვის დაიწყებს

ნატო ავღანეთიდან ჯარების გაყვანის გეგმის შედგენას უკვე 2014 წლის გაზაფხულისთვის დაიწყებს, თუ ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი უსაფრთხოების პაქტის ხელმოწერას არ დათანხმდება. „როიტერის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ალიანსის სამხედრო მაღალჩინოსანმა განაცხადა. ამ შეთანხმებით განისაზღვრება 2014 წლის შემდეგ ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის სამხედროების დარჩენის პირობები. ამერიკამ და ნატომ უკვე განაცხადეს, რომ ამ ხელშეკრულების გარეშე 2014 წლის ბოლოსთვის კონტინგენტს მთლიანად გაიყვანენ ქვეყნიდან. ყარზაიმ ადრე განაცხადა, რომ ამ შეთანხმებას ხელი არ უნდა მოეწეროს საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომელიც 2014 წლის გაზაფხულზეა დაგეგმილი. ცოტა ხნის წინ პრეზიდენტმა დელიში ყოფნისას განაცხადა, რომ უსაფრთხოების შეთანხმებას მაშინ მოეწერება ხელი, როდესაც ამერიკა ავღანეთში რეიდებს შეწყვეტს და ქვეყანას „თალიბანთან“ სამშვიდობო პროცესის დაწყებაში დაეხმარება.

ბრაზილია სნოუდენისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებას არ გეგმავს

ბრაზილია ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედუარდ სნოუდენისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებას არ გეგმავს. აღნიშნულის შესახებ სააგენტო „როიტერი“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს. ცოტა ხნის წინ სნოუდენი ბრაზილიის მთავრობას ამერიკის მიერ ქვეყნის პრეზიდენტის სატელეფონო საურების მოსმენის გამოძიებაში დახმარებას დაჰპირდა, თუ ეს ქვეყანა პოლიტიკურ თავშესაფარს მიანიჭებდა. ამის შესახებ სნოუდენმა ქვეყნის მოსახლეობას და ხელისუფლებას ღია წერილით მიმართა. წერილში სნოუდენმა ისიც აღნიშნა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბრაზილიის მთავრობის მიერ ამერიკის კრიტიკამ. როგორც „როიტერი“ ბრაზილიის დიპლომატიური უწყების წყაროზე დაყრდნობით წერს, ივნისიდან მოყოლებული ბრაზილიის მთავრობას სნოუდენისგან ოფიციალური მიმართვა არ მიუღია. ამ თხოვნის მიღების გარეშე კი სნოუდენი პოლიტიკურ თავშესაფარს ვერ მიიღებს. ამერიკის ცენტრალური სადაზვერო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი 30 წლის ედუარდ სნოუდენი, რომელმაც ამერიკის სადაზვერვო სამსახურების საიდუმლო პროგრამა გამომაჟღავნა, ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. რუსეთმა მას დროებითი თავშესაფარი 2013 წლის აგვისტოში მიანიჭა.

თურქეთში მინისტრების შვილები დააკავეს

თურქეთის პოლიციამ, კორუფციის სერიოზული საქმის გამოძიების ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრის, ეკონომიკისა აგრეთვე გარემოს დაცვის მინისტრების შვილები დააკავა. მათთან გარდა, აღნიშნულ საქმეზე ანკარასა და სტამბოლში კიდევ, სულ ცოტა, 20 ადამიანია დაკავებული. ამასთან, ჩხრეკა ჩატარდა თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის «Halkbank»-ის ოფისში ანკარაში, დაკავებულია ბანკის ხელმძღვანელი სულეიმან ასლანიც. პოლიციამ მსხვილი სამშენებლო კომპანიის ოფისიც გაჩხრიკა, რომლის მფლობელია ცნობილი ბიზნესმენი ალი აღაოღლუ. კომპანიის დირექტორმა ჰასან რახვალიმ მედიას განუცხადა, რომ სამართალდამცავები ცნობილ ბიზნესმენებსა და პოლიტიკოსებს შორის ქრთამების აღების საქმეს იძიებენ, მაგრამ რაიმე ნივთმტკიცებულებების მოპოვება ვერ შეძლეს. თურქი მიმომხილველების ვარაუდით დაკავებები შეიძლება, დაკავშირებული იყოს იმ დაპირისპირებასთან, რომელიც ერდოღანის მთავრობასა და ცნობილ სასულიერო მოღვაწეს ფეტულახ გიულენს შორის არსებობს. ეს უკანასკნელი აშშ-ში ცხოვრობს, თუმცა თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. გიულენი მთავრობის მიერ კერძო სკოლების დახურვის წინააღმდეგ გამოდის, რომელთაგან ბევრი საზოგადოებრივ მოძრაობა «ჰიზმეტს» ეკუთვნის. მთავრობა პიროლას იძლევა, რომ ქვეყანაში მწვავედ მდგარ კორუფციის პრობლემას გაუმკლავდება. არ არის განმარტებული, რა კავშირშია დაკავებები ზემოხსენებულ დაპირისპირებასთან.

ეგვიპტეში ისლამისტმა დემონსტრანტებმა ტაქსის მძღოლი მოკლეს

ეგვიპტეში ისლამისტებმა, რომლებიც საპროტესტო მიტინგს ესწრებოდნენ, ტაქსის მძღოლი მოკლეს, რომელიც იმ მოედანზე გავლას შეეცადა, სადაც დემონსტრანტები იყვნენ შეკრებილები. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, აღნიშნულის შესახებ ადგილობრივმა ხელისუფლებამ განაცხადა. თვითმხილველების თქმით, დემონსტრანტებმა ტაქსის მძღოლი მანქანიდან მას შედეგ გადმოიყვანეს, რაც იგი ერთ-ერთ დემონსტრანტს დაეჯახა. დემონსტრანტემა მისი მანქანა დაწვეს. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ათი ადამიანია უკვე დაკავებული. გავრცელებული ინფორმაციით, ის პირი, რომელსაც ტაქსის მძღოლი დაეჯახა, ქალაქ ელ-მანსურის საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. როგორც ცნობილი გახდა, დემონსტრანტები ისლამისტური მოძრაობა „ძმები-მუსლიმების“ მხარდამჭერები არიან.

საბაჟო კავშირის სამიტი 24 დეკემბერს მოსკოვში ჩატარდება

რუსეთის, ბელარუსის და ყაზახეთის პრეზიდენტები მოსკოვში 24 დეკემბერს ევრაზიის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სხდომას დაესწრებიან. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ამ შეხვედრის მიზანი საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის განხილვაა. 17 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ რუსეთი უკრაინის ევროობლიგაციების შესაძენად 15 მილიარდ დოლარს გამოყოფდა. გავრცელდა ინფორმაციაც, რომ მოსკოვში შეხვედრისას უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებმა ვიქტორ იანუკოვიჩმა და ვლადიმირ პუტინმა, სხვა საკითხებთან ერთად, უკრაინის საბაჟო კავშირში გაწევრიანების შესახებაც იმსჯელეს. თუმცა, ამ შეხვედრის შემდეგ პუტინმა განაცხადა, რომ უკრანის საბაჟო კავშირში გაწევრიანების თემაზე არ უმსჯელიათ.

მოამზადა თამთა კახაძემ

ასადმა შეიძლება ძალაუფლება შეინარჩუნოს?

პირველი გვერდიდან

ლონდონში 13 დეკემბერს «სირიის მეგობართა ჯგუფის» 11 წამყვანი სახელმწიფოს (ამ ჯგუფში სულ 100 ქვეყანაა) შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც სირიის ოპოზიციური და რევოლუციური ძალების ეროვნული კოალიციის ლიდერებიც ესწრებოდნენ. ეს ის ოპოზიციური გაერთიანებაა, რომელსაც დასავლეთი უჭერს მხარს და რომელიც სირიის სეკულარულ სახელმწიფოდ შენარჩუნების მომხრეა. მედიაში მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გამოჟონა ინფორმაციამ ასადის მომავალი ბედის ასეთი შემოტრიალების შესახებ. როგორც ირკვევა, ამ შეხვედრაზე სირიის ოპოზიციას დასავლეთმა მიანიშნა, რომ სირიის ხელისუფლებაში ასადის დატოვებას მხარს უჭრენ, რადგან სირიაში რადიკალური ისლამისტების, მათ შორის კი «ალ-ქაიდას» ფილიალების გავლენა იზრდება. ევროპა და ამერიკა შიშობენ, რომ სირის არაბთა რესპუბლიკა გლობალური ჯიჰადის ცენტრად გადაიქცა.

ოპოზიციური კოალიციის წარმომადგენელის სიტყვებით, «ჩვენმა დასავლელმა მეგობრებმა ლონდონში მიგვანიშნეს, რომ ახლა ასადის წასვლა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს გამოიწვევს ქაოსს და ქვეყანაზე ისლამისტი მებრძოლების კონტროლის დამყარებას.» სირიაში 2014 წელს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების კომენტირებისას კი ოპოზიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ «სირიის ანტისამთავრობო ძალების ზოგიერთი დასავლელი პარტნიორი იმის წინააღმდეგიც არ არის, რომ ასადმა ისევ იყაროს კენჭი». სირიის მეგობართა ჯგუფის წარმომადგენლებმა სცადეს, ოპოზიცია შეეგუებინათ იმასთანაც, რომ გარდამავალ მთავრობაში, რომლის შექმნაზეც შეთანხმება სამშვიდობო კონფერენცია «ჟენევა 2»-ის დროს უნდა შედგეს, საკვანძო თანამდებობებს ასადი და ალავიტების უმცირესობა შეინარჩუნებენ.

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ სირიის კონფლიქტის გარდამავალი ეტაპის მიმართ ასეთმა დიპლომატიურმა კომპრომისმა შეიძლება, დასავლეთის და რუსეთის პოზიციები დაახლოვოს. მეორე მხრივ, ეს ისედაც დაქსაქსულ სირიულ ოპოზიციაში, ასევე მათ მხარდამჭერ ძირითად სახელმწიფოებს შორის გარკვეულ უთანხმოებას გამოიწვევს. ასეთი მიდგომის გამო უკვე ლონდონის შეხვედრაზე საუდის არაბეთი საკმაოდ დაბალი რანგის დიპლომატით იყო წარმოდგენილი. «მეგობართა ჯგუფის» «ბირთვში», რომლებიც ამ შეხვედრას ესწრებოდნენ, შედიან: აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, საუდის არაბეთი, კატარი, თურქეთი, ეგვიპტე, იორდანია და გაერთიანებული არაბული საამიროები.

მანამდე დასავლეთმა სირიის ოპოზიცია, რომელიც ასადის დაუყოვნებლის გადადგომას მოითხოვდა, ჟენევის სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობაზე ძლივს დაითანხმა. ახლა ისინი იმ ფაქტის წინაშე დააყენეს, რომ შესაძლოა, ასადი და მისი გარემოცვა მთლიანად არც შემდეგ წავიდნენ ხელისუფლებიდან. სირიის ოპოზიციას ამ სიტუაციაში მოქნილობის გამოვლენა სჭირდება, რათა დასავლეთის მხარდაჭერა სულ არ დაკარგოს. ჟენევაში ისეთი შეთანხმების მისაღწევად, რომელიც ორგანიზატორებს - აშშ-ს და რუსეთს დააკმაყოფილებს, ოპოზიცია გარდამავალ მთავრობაში ალავიტების სერიოზულ წარმომადგენლობას უნდა დათანხმდეს. დარჩება თუ არა ასადი პრეზიდენტად, ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუმცა ნამდვილად დარჩებიან მისი მომხრეები, ხოლო დარჩენის შემთხვევაში ასადის უფლებამოსილება აუცილებლად შეიზღუდება. უფრო კონკრეტულად, ალავიტების დომინირებული მდგომარეობა, სავარაუდოდ, არმიასა და უსაფრთხოების ძალებში შენარჩუნდება, რათა «ალ-ქაიდასთან» გამკლავება მოხერხდეს.

ეს მიდგომა ოპოზიციის მხარდამჭერ მუსულმანურ სახელმწიფოებში მაინცდამაინც პოპულარული ვერ იქნება. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ «მეგობართა ჯგუფის» ზემოხსენებულ ბირთვში მყოფი ყველა არაბული სახელმწიფოც და თურქეთიც ისლამის სუნიტური ფრთის მიმდევარია. სირიაში კი ალავიტების უმცირესობა აქამდე თავზე აჯდა სუნიტურ უმრავლესობას. ასეთი მძაფრი სამოქალაქო ომიც, ძირითადად, ამან გამოიწვია. სწორედ ეს არაბული სახელმწიფოები აფინანსებენ და იარაღით ამარაგებენ ოპოზიციის ისლამისტურ ფრთას, ოღონდ, ცხადია, არა «ალ-ქაიდას» ფილიალებს. სირიაში ბევრგან ერთმანეთს უპირისპირებიან უკვე ეს ისლამისტები და ზომიერი ფრთა, რომელიც დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობს. სეკულარული მმართველობის მომხრეთა მხარეს კი ყველა ის სახელმწიფო გამოდის, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან.

გაერო და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია კი სირიის ქიმიური იარაღის განადგურების ფორმებსა და გრაფიკზე თითქმის მთლიანად ჩამოყალიბდნენ. სირიიდან ქიმიური არსენალის გამოტანას რუსეთი უზრუნველყოფს და ამ პროცესის უსაფრთხოებას საერთაშორისო ტერიტორიულ წყლებამდე დაიცავს. შემდეგ ამ ნივთიერებების ტრანსპორტირებას დანია და ნორვეგია უზრუნველყოფენ. იტალია გამოყოფა პორტს ამ პროცესისთვის, ხოლო მომწამვლელ ნივთიერებებს საერთაშორისო წყლებში ამერიკის სპეციალურ გემზე გაანადგურებენ. გადასაწყვეტი რჩება იმ კომერციული ორგანიზაციების ჩამონათვალი და ფუნქციები, რომლებიც ნაკლებად საშიშ ნივთიერებებს გაანადგურებენ.

ირანს „ეს 300„-ის მიღება ისევ სურს

რუსეთში ირანის ელჩმა მეჰდი სანაიმ განაცხადა, რომ მის ქვეყანას საზენიტო სარაკეტო კომპლექს „ეს 300“-ის მიღების იმედი აქვს. „ირანი კვლავ მიიჩნევს, რომ ამ თავდაცვითი შეიარაღების მიყიდვის შესახებ ხელმოწერილი კონტრაქტი ლეგიტიმურია. შესაბამისად, მიწოდება უნდა განხორციელდეს,“ - თქვა მან.

ბოლო პერიოდში ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ამ გახმაურებული კონტრაქტის განახლების საკითხზე რუსეთში ლაპარაკი იწყება. თუმცა ოფიციალურ დონეზე ასეთი შესაძლებლობა არ დადასტურებულა. კომპლექს „ეს 300“-ის ირანისთვის მიწოდების კონტრაქტს 2007 წლის ბოლოს მოეწერა ხელი, მაგრამ რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა 2010 წლის სექტემბერში ამ რაკეტების ირანისთვის მიწოდება აკრძალა და ეს იმით ახსნა, რომ იარაღის მიწოდება გაეროს მიერ ირანისთვის დაწესებული სანქციების დარღვევა იქნებოდა. 2011 წლის სექტემბერში მოსკოვმა თეირანს გადახდილი ავანსი - 167 მილიონი დოლარი დაუბრუნა. ირანისთვის ამ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის მიღება სასიცოცხლოდ აუცილებელია - ის ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი უნდა გამხდარიყო, განსაკუთრებით დასავლეთთან სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში.

მეჰდი სანაის სიტყვებით, ირანის მხარემ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის მიწოდების საკითხი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან მოლაპარაკებების დროს დააყენა და რუსეთის მხრიდანაც კეთილგანწყობილი რეაქცია მიიღო. ამ კონტრაქტის შესაძლო განახლებაზე რუსული მედია სექტემბერშიც იუწყებოდა, თუმცა ის ცნობა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა უარყო.

2007 წელს ხელმოწერილი კონტრაქტი ირანისთვის „С-300ПМУ-1“-ის ხუთი დივიზიონის გადაცემას ითვალისწინებდა, რომლის ღირებულებაც 800 მილიონ დოლარს შეადგენდა. მაგრამ 2010 წლის სექტემბერში მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას „გაეროს უშიშროების საბჭოს 2010 წლის 9 ივნისის N1929 რეზოლუციის შესრულების ღონისძიებების შესახებ“, რომელიც ირანისთვის ზოგადად იარაღისა და მათ შორის ზემოხსენებული კომპლექსების მიწოდებას კრძალავდა.

რუსეთში ხელისუფლების ეს ნაბიჯი მაშინვე ბევრმა გააკრიტიკა. ეს ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი კონტრაქტის შეჩერება დააზარალებდა რუსეთის, როგორც იარაღის სანდო მიმწოდებლის იმიჯს ახლო აღმოსავლეთის ბაზარზე. მაგალითად, ექსპერტი კონსტანტინ მაკიენკო ფიქრობს, რომ ეს იყო დმიტრი მედვედევის პირადი და მისი პრეზიდენტობის პერიოდში მიღებული ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება. მაკიენკოს აზრით, ამ თავდაცვით იარაღზე სანქციები არ ვრცელდებოდა. სხვა ექსპერტები, მაგალითად, ვიქტორ მურახოვსკი აცხადებს, რომ ასეთ გადაწყვეტილებების რუსეთში ერთი ადამიანი არასდროს იღებს, შესაბამისი დასკვნა სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ფედერალურ სამსახურში მზადდება და იქ ყველაფერს ითვალისწინებენ: ეკონომიკურ, ტექნიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებსაც. მურახოვსკის აზრით, ამ ტიპის გადაწყვეტილებების კრიტიკა უაზრობაა, რადგან არ ქვეყნდება ყველა არგუმენტი, რომლითაც მათი მიღების დროს ხელმძღვანელობენ.

ირანს ამ კონტრაქტის განახლება უნდა და ამის მსურველი მოსკოვშიც ბევრია. იგივე ექსპერტი მაკიენკო, რომელიც ცალსახად ლობირებს ამ კონტრაქტს, აცხადებს, რომ მოსკოვში პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ აქვს და მხოლოდ „ინტუიციით გრძნობს“. მურახოვსკი კი მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება, მხოლოდ პერსპექტივაში მოხდეს, ირანის წინააღმდეგ სანქციების შერბილების შემდეგ. ამას გარდა, მურახოვსკი აცხადებს, რომ კონტრაქტის განახლებას ტექნიკური პრობლემებიც უშლის ხელს. „ეს 300“ წარმოებიდან უკვე მოხსნილია და შესაბამისი ქარხნები 100 პროცენტით არის დატვირთული რუსეთის არმიის შეკვეთებით. ირანს შეიძლება, მხოლოდ რუსეთის არმიის შეიარაღებაში უკვე არსებული ეგზემპლარები მიაწოდონ მცირეოდენი განახლების შემდეგ.

ბი-ბი-სის მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

ქართველ ებრაელთა კულტურა ეროვნულ მუზეუმში

პირველი გვერდიდან

აღნიშნული მოვლენების გამო საზოგადოების ძალიან დიდმა უმრავლესობამ მსუბუქად რომ ვთქვათ უხერხულობა განიცადა, აბსოლუტურად გასაგები მიზეზების გამო. ეროვნულ მუზეუმში გუშინ გახსნილი გამოფენა არა უბრალოდ დროულია, არამედ აუცილებელი საგანმანათლებლო გამოფენა-პროექტი საზოგადეობისთვის, რომელსაც მცირე ინფორმაცია აქვს ებრაული კულტურისა და ქართველებისა და ებრაელების თანაცხოვრების, მეგობრობისა და კულტურული პარტნიორობის შესახებ.

გუშინ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში წარმოგვიდგინეს ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი გამოფენა და კატალოგის პრეზენტაცია სახელწოდებით *ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა* .

მულტიკულტურულ საქართველოში ებრაული დიასპორა ერთ-ერთი უძველესთაგანია. ჩვენი ქვეყანა ის იშვიათი გამონაკლისია, სადაც ებრაელებს ისტორიულად არამცთუ დევნიდნენ, არამედ მათ მიმართ ყოველთვის კეთილ და მეგობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. მეტად მნიშვნელოვანია ამ ტრადიციის გაგრძელება მომავალ თაობაშიც.

აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილია ებრაული კულტურის ამსახველი უნიკალური ექსპონატები, რომლებიც გასულ საუკუნეში თბილისში არსებულ ებრაულ მუზეუმში იყო გამოფენილი. მუზეუმის დახურვის შემდგომ კოლექციები სხვადასხვა მუზეუმებში გადანაწილდა, მათ შორის საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმსა და იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში.

გამოფენაზე წარმოდგენილია ებრაული კოლექციის 200 ექსპონატი, რომელთა დიდ ნაწილსაც დამთვალიერებელი პირველად იხილავს. კატალოგი «ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა» ებრაულ კოლექციებთან ერთად ბოლოდროინდელ სამეცნიერო კვლევების შედეგებსაც მოიცავს.

პროექტის მხარდამჭერები არიან ისრაელის საელჩო საქართველოში და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი გამოფენა ეროვნულ გალერეაში 2014 წლის 19 იანვრამდე გაგრძელდება. წინ დასვენების დღეები გველის. ეს გამოფენა საუკუეთესოა თავისუფალ დროს მრავალი ჩვენთვის გაურკვეველი და უცნობი საკითხის გასაანალიზებლად, გადასაფასებლად, იქნებ სინანულისთვისაც კი...

კინოს გაკვეთილები

ეროვნული კინოცენტრი პროექტს „კინო სკოლაში" იწყებს

ია ვეკუა

ზუსტად ვერ გეტყვით, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინომცოდნეობის ფაკულტეტი წელიწადში რამდენ დიპლომირებულ სპეციალისტს უშვებს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ფილმწარმოების ნაკლები აქტიურობისა და კინოგამოცემების სიმწირის გამო ყველას დასაქმება ვერ ხერხდება. დღეს ქვეყანაში ერთადერთი კინოჟურნალი არსებობს, კინოცენტრის პროდუქტი „ფილმპრინტი", რომლის ყველა ნომერზეც სხვა და სხვა კინომცოდნეები მუშაობენ (თუმცა არა დამწყებები). ასევე საკუთარი პროფესიით მუშაობის საშუალება ეძლევათ თბილისისა და ბათუმის კინოფეტივალებისას, მაგრამ აქ ისევ და ისევ კრიტიკული თუ მიმოხილვითი სტატიების გამოქვეყნების პრობლემას აწყდებიან.

კადრი ფილმიდან „ტაქსის მძღოლი"

კადრი ფილმიდან „ველოსიპედების გამტაცებლები"

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ახალი პროექტი კარგი საშუალებაა, რომ ახალბედა კინომცოდნეებმა პროფესიითაც იმუშაონ და კინოკულტურის განვითარებასაც შეუწყონ ხელი. პროქტი „კინო სკოლაში" ჯერჯერობით მხოლოდ 2014 წლის მარტიდან დეკემბრამდე (ცხადია, საზაფხულო არდადეგების გამოკლებით) იმუშავებს და თბილისისა და სხვა და სხვა რეგიონების 60-მდე სკოლას (მე-9, მე-10, მე-11 კლასები) მოიცავს.

კონკურსით შერჩეულ სპეციალისტებს ქართული და მსოფლიოს კინოს საეტაპო ფილმების მოსწავლეთათვის ჩვენება და შემდგომი დისკუსიის გამართვა დაევალებათ. გარდა ამისა, პროექტის მონაწილე ვალდებული იქნება, მოსწავლეებს ფილმის ნახვისა და მასზე საუბრის მოტივაცია გაუჩინოს, ჩაატარებინოს შემაჯამებელი პრეზენტაციები, ხოლო თვეში ერთხელ ახალი ქართული მხატვრული, დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმი აჩვენოს და გადამღებ ჯგუფთან შეხვერდის ორგანიზებაც უზრუნველჰყოს.

პროექტში მონაწილეობის მსურველი უნდა ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს კინომცოდნის ან სხვა სახის კინო და სახელოვნებო სფეროში (შესაძლებელია ამ სპეციალობების დამამთავრებელ კურსზეც სწავლობდეს). ასევე საჭიროა რუსულის ან ინგლისურისა და მარტივი კომპიუტერული პროგრამების ცოდნა. შესარჩევი კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება: პირველ ეტაპზე კინოცენტრი CV-ს, სამოტივაციო წერილსა და პროგრამაში შესული ფილმებიდან (მათ ნაწილს ქვემოთ გაგაცნობთ) ერთ-ერთის შესახებ დაწერილ რეცენზიას გაეცნობა, შემდეგ ეტაპზე გადასულებს კი პროფესიული უნარების შესამოწმებლად უშუალოდ გაესაუბრებიან.

რაც შეეხება პროგრამას, კინოცენტრი პროექტის მონაწილეებს საკუთარ სიას სთავაზობს. ძირითადი სიის გარდა არსებობს იმ ახალი ქართული ფილმების ჩამონათვალიც, რომელთა ჩვენებაც გადამღები ჯგუფის წევრებთან ერთადაა სასურველი. მათ შორისაა: გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი", რუსუდან პირველის „სუსა", ლევან კოღუაშვილის „ქუჩის დღეები", ნანა ჯანელიძის დოკუმენტური „ნეტავ იქ თეატრი არის?", რუსუდან ჭყონიას „გაიღიმეთ", ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები, ზაზა ურუშაძის „მანდარინები" და ნანა ჯანელიძის ასევე დოკუმენტური „გალობის რაინდები".

ცხადია, გაცილებით მოცულობითი და მრავალფეროვანია პროგრამით გათვალისწინებული ფილმების სია, რომლის სათავეშიც ვასილ ამაშუკელის დოკუმენტური „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭალეჩხუმშია" ნახსენები. მას მოსდევს ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო", კოტე მარჯანიშვილის „გოგი რატიანი", მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთე" და კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია". ქართულ კინოკლასიკის შემდეგ სიაში ვკითხულობთ: ჩარლი ჩაპლინის „ბიჭუნა", სერგეი ეიზენშტეინის „ჯავშნოსანი პოტიომკინი" და უოლტ დისნის ანიმაცია „ფიფქია და შვიდი ჯუჯა" (პროგრამაში ქართული ანიმაციური ფილმებიცაა: „არგონავტები", „ჭირი", „ბატი ტასიკო" და სხვები).

პროგრამული ფილმების სია საკმაოდ ჭრელია, არ არის მიჯაჭვული ერთ კონკრეტულ ეპოქაზე ან ჟანრზე. აქ ერთმანეთის გვერდით წერია ვიტორიო დე სიკას „ველოსიპედების გამტაცებლები" და ალფრედ ჰიჩკოკის „ჩიტები", ანდრეი ტარკოვსკის „ივანეს ბავშვობა" და მილოშ ფორმანის „თმა", აკირა კუროსავას „რაშიომონი" და მიქელანჯელო ანტონიონის „პროფესია რეპორტიორი", ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი", გიორგი დანელიას „არ დაიდარდო", სერგო ფარაჯანოვის „სურამის ციხე", მარტინ სოკორსეზეს „ტაქსის მძღოლი", სტივენ სპილბერგის „შინდლერის სია" და სხვები. ამრიგად პროექტის მონაწილეს აუცილებლად მოუწევს საკუთარი კინოგემოვნების დავიწყება.

სკოლებში კინოხელოვნების სწავლების, კინოს წრეების პრაქტიკა ჩვენთან ფაქტობრივად არ არსებობს, თუმცა კერძო სკოლები ამ მხრივ უფრო აქტიურობენ. მაგალითად, ნიუტონის თავისუფალ სკოლაში კვირაში სამჯერ კინოს წრე მუშაობს, რომელიც „ტაბულას" კინომიმომხილველ ნიკა ესებუას მიჰყავს. ამრიგად, ეროვნული კინოცენტრის პროექტი დროული და აუცილებელი ინიციატივაა, მით უფრო რეგიონების სკოლებისთვის, რადგან აქაურმა ბავშვებმა დიდ ეკრანზე ფილმის ნახვის ცნებაც კი არ იციან.

პროექტის „კინო სკოლაში" კონკურსის შესახებ დეტალებს გაეცანით კინოცენტრის ვებგვერდზე: gnfc.ge.

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028161

შემსყიდველი	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	18.12.2013 15:25
წინადადებების მიღება იწყება	03.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	08.01.2014 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	162059 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	90600000-ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	90600000-ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1621 ლარი
გარანტიის ოდენობა	1621 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028102

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	17.12.2013 19:28
წინადადებების მიღება იწყება	03.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	08.01.2014 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	36000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	77300000-მებაღჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	77300000-მებაღჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	გეგმა–გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	145 ლარი
გარანტიის ოდენობა	360 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028097

შემსყიდველი	სსიპ ,,იუსტიციის უმაღლესი სკოლა"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	17.12.2013 19:16
წინადადებების მიღება იწყება	20.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	24.12.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3950 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	20 ლარი
გარანტიის ოდენობა	40 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028106

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	17.12.2013 19:35
წინადადებების მიღება იწყება	03.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	08.01.2014 17:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	470000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	77300000-მებაღჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	77300000-მებაღჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	გეგმა–გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1880 ლარი
გარანტიის ოდენობა	4700 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028100

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	17.12.2013 19:22
წინადადებების მიღება იწყება	03.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	08.01.2014 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	472247 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 70 (სამოცდაათი) დღე.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1890 ლარი
გარანტიის ოდენობა	4722 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028103

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	17.12.2013 19:30
წინადადებების მიღება იწყება	03.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	08.01.2014 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	79000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	77300000-მებაღჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	77300000-მებაღჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	გეგმა–გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	320 ლარი
გარანტიის ოდენობა	790 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028099

შემსყიდველი	აჭარის განათლების ფონდი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	17.12.2013 19:19
წინადადებების მიღება იწყება	20.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	24.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	38600000-ოპტიკური ხელსაწყოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	38600000-ოპტიკური ხელსაწყოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	8 ცალი პროექტორი
მოწოდების ვადა	30 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	80 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028113

შემსყიდველი	ხონის მადლიერების სახლი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	18.12.2013 01:22
წინადადებების მიღება იწყება	20.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	24.12.2013 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	13860 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ ფასების ცხრილი
მოწოდების ვადა	2014 წლის 25 იანვარი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	270 ლარი
გარანტიის ოდენობა	139 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

საჭიდაო სამყაროში წონები ოფიციალურად შეიცვალა



გადაწყვეტილი ამბავია, 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფლები, ბერძენ-რომაელები და ქალი მოჭიდავეები მედლებს 7-ის ნაცვლად 6 წონით კატეგორიაში გაითამაშებენ.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ბერძენ-რომაელებს ოლიმპიურ ხალიჩაზე საასპარეზოდ 59, 66, 75, 85, 98 და 130 კილოგრამ წონით კატეგორიები ექნებათ. თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიები - 57, 65, 74, 86, 97 და 125 კილოგრამებადაა დაყოფილი, ხოლო ქალებს ერთმანეთში ურთიერთობის გასარკვევად ექნებათ 48, 53, 58, 63, 69 და 75 კილოგრამ წონითი კატეგორიები.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ წონით კატეგორიებში განხორციელებული ეს ცვლილებები სხვა საერთაშორისო ტურნირებზეც იქნება გათვალისწინებული.

მაგრამ არის კიდევ ერთი ცვლილებაც, რომლის მიხედვითაც ჭიდაობის მაღალჩინოსანთა გადაწყვეტილებით, ჩამოთვლილ წონით კატეგორიებს კონტინენტურ ჩემპიონატებსა და გრან-პრის ტურნირებზე დაემატება პლუს ორი წონა. კერძოდ, ბერძენ-რომაელებს საამისოდ ექნებათ 71 და 80, თავისუფლებს - 61 და 70, ხოლო ქალი მოჭიდავეები მედლებისთვის 55 და 60 კილოგრამებში იბრძოლებენ.

ასე რომ, ოლიმპიურ თამაშებზე ამ წონებში მოჭიდავეებს დასვენება მოუწევთ.

სიახლე ძალაში 2014 წლიდან შევა.

„ჩვენი ფეხბურთი“ - მილანის საერთაშორისო სპორტული ფილმების ფესტივალის ლაურეატი

კინორეჟისორ გოგი თორაძის ფილმი ჩვენი ფეხბურთი“, რომელიც ქართული ფეხბურთის საუკუნოვან ისტორიაზე მოგვითხრობს, იტალიის ქალაქ მილანში გამართული სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა.

ქართველი კინორეჟისორის 30-წუთიანმა დოკუმენტურმა ფილმმა მთავარი პრიზი მოიპოვა ნომინაციაში - საუკეთესო დოკუმენტური ფილმი ფეხბურთზე. მილანში ჩატარებულ ფესტივალზე სპორტულ თემატიკაზე გადაღებული მსოფლიოს 54 ქვეყნის 150-მდე ფილმი მონაწილეობდა.

თორაძის ფილმმა აღიარება მოიპოვა ნოემბერში ტაშკენტში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზეც «სპორტი კინოსა და ტელევიზიაში“. ტაშკენტში ფილმი საუკეთესო დოკუმენტურ ნამუშევართა შორის დასახელდა და მილანის კინოფესტივალის საგზური მოიპოვა.

სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი «ჩვენი ფეხბურთი“ მაყურებელს მოუთხრობს ქართული ფეხბურთის საუკუნოვან ისტორიას დასაბამიდან დღევანდლამდე. გოგი თორაძეს სპორტულ თემაზე არაერთი ფილმი აქვს გადაღებული («კომენტატორი“, «სნაიპერი“, «ქართული ფეხბურთის მაესტრო“, «კაპიტანი“, ტრილოგია - რაგბი, კალათბურთი და ფეხბურთი).

ფილმის სცენარის ავტორია აკაკი გვიმრაძე, წამყვანი - კახი კავსაძე, კომპოზიტორი - ვაჟა აზარაშვილი, დიქტორი - ნუგზარ რუხაძე. საერთაშორისო ფესტივალებზე წარსადგენად ფილმი ინგლისურად გახმოვანდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

ფილმი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში 17 დეკემბერს აჩვენეს. ჩვენებას დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე, ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცეპრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, მოწვეული სტუმრები და ჟურნალისტები.

msy.gov.ge

ვის უნდა თურქი?

ზურა თალაკვაძე



ომერ აშიქი „ჰიუსტონში“ ვერ ჩაჯდა

„ჰიუსტონში“ დუაიტ ჰოვარდი ჰაკიმ ოლაჯუონის, მოუზეს მელოუნის ჰამაკში ჩააწვინეს და ახალმა ცენტრმა ძველი ცენტრების გამოცდილება უნდა გამოიყენოს. ან „ჰიუსტონს“ გამოიყენებენ. „ჰიუსტონში“ ჯეიმს ჰარდენი ყველაფერს აკეთებს და ყველაფერს ასწრებს. „ჰიუსტონში“ ჯეიმსს ბევრის უფლებას აძლევენ და „ჰიუსტონში“ ეს მოსულა. „ჰიუსტონში“ სტივ ფრენსისიც თავისუფალი იყო. და ჰარდენი ცოტა სხვა მომენტია. კლუბი შეიცვალა და კლუბის ბოსებმა მკვლელი კომბინაცია მიიღეს. ჰოვარდი და ჰარდენი გკლავენ პერიმეტრზე და სამწამიანში. ჯეიმსი შესვლებით, უსისტემო პენეტრაციით გღლის და ჰოვარდი ცოტა სხვა მომენტია. დუაიტმა უნდა მოხსნას, დუაიტმა უნდა მოგხსნას და ჰოვარდი სამწამიანში ყველაფერს ასწრებს. დუაიტი საშუალოდ 17.4 ქულას, 13.2 მოხსნას, 1.8 დაფარებას აგროვებს და დუაიტი არ იღლება. უფრო შენ გღლის. როგორც ბენ უოლასი. როგორც ალონზო მურნინგი. დუაიტმა უნდა დაგამციროს და ჰოვარდი მომავალია. ეს ძველი თემაა.

„როკეტსის“ მეორე ცენტრი, ომერ აშიქი უკმაყოფილოა. მაღალმა თურქმა მოიწყინა. მაღალი თურქი შარშან საშუალოდ 10.1 ქულას, 11.7 მოხსნას და 1.1 დაფარებას იღებდა. კარგი, სანდო ცენტრის კლასიკური სტატისტიკა. და „ჰიუსტონს“ სხვა დონეზე გასვლა მოუნდა. მოვიდა განიერი დუაიტი და თურქის დრო გადაიჭრა, ავტომატურად შემცირდა. თურქის დრო მიდის და აშიქს სხვაგან გადასვლა უნდა. ბიჭის სტატისტიკა გაუარესდა (4.4+6.7 მოხსნა+0.4 დაფარება), მაგრამ აშიქს კარგ კუშს მაინც გადაუხდიან. ლიგაში მაღალი, მოძრავი, ჭკვიანი ტიპების დეფიციტია. თურქი სამივე კრიტერიუმში ჯდება. და თურქს ერთ სეზონში 10 მილიონი დოლარი უნდა. მიმდინარე კონტრაქტით, ომერ აშიქი ერთ სეზონში ისედაც 10 მილიონ დოლარს იღებს. თურქი პოტენციალით პირველი ხუთეულის წევრია და „ჰიუსტონში“ ძირითადად, ჰოვარდს ასვენებს. მისტერ აშიქს ეს არ აწყობს.

აშიქმა ამერიკული კარიერა „ჩიკაგოში“ დაიწყო. ძირითადად, ცვლიდა მისტერ ნოას და ომერი პირველ ორ სეზონში იღებს შესაბამისად, 2.8 და 3.1 ქულას, 3.7 და 5.3 მოხსნას, 0.7 და 1.0 დაფარებას. სათადარიგო ცენტრისთვის ნორმალური სტატისტიკაა.

თურქი მოეწონა „ბოსტონს“ და თუ „ჰიუსტონი“ გაცვლის წინააღმდეგი არ იქნება, ჰიუსტონში გადავა ძალიან კარგი ფორვარდი, ბრენდონ ბასი. საინტერესო გაცვლა გამოდის. ბასი კარგი მეოთხე ნომერია. „როკეტსს“ კარგი მეოთხე ნომერი უნდა.

თურქი მოეწონა „ფილადელფიას“ და თუ „ჰიუსტონი“ გაცვლის წინააღმდეგი არ იქნება, ჰიუსტონში გადავა ძალიან კარგი ფორვარდი, ტადეუშ იანგი. საინტერესო გაცვლა გამოდის. იანგი კარგი მეოთხე ნომერია. „როკეტსს“ კარგი მეოთხე ნომერი უნდა.

თურქი მოეწონა „კლივლენდს“ და თუ „ჰიუსტონი“ გაცვლის წინააღმდეგი არ იქნება, ჰიუსტონში გადავა ძალიან კარგი ფორვარდ-ცენტრი, ანდერსონ ვარეჟაო. საინტერესო გაცვლა გამოდის. ვარეჟაო კარგი მაღალია. „როკეტსს“ კარგი მაღალი ტიპი უნდა.

თურქი მოეწონა „ატლანტას“ და თუ „ჰიუსტონი“ გაცვლის წინააღმდეგი არ იქნება, ჰიუსტონში გადავა ძალიან კარგი ფორვარდი, პოლ მილსაპი. საინტერესო გაცვლა გამოდის. ბასი კარგი მეოთხე ნომერია. „როკეტსს“ კარგი მეოთხე ნომერი უნდა. და თუ მილსაპი გუნდს შეიცვლის, ალ ჰორფორდი მეოთხეზე ავა და აშიქი ისევ პირველი ხუთეულის ცენტრი გახდება. უბრალოდ, ამას ატლანტაში გააკეთებს. და „ჰიუსტონი“ დასავლეთში ერთ-ერთი საუკეთესო პირველი ხუთეულით მიხედავს საქმეს.

არის კიდევ ერთი დაინტერესებული კლუბი, რომელიც ჯერ არ ვიცით და რომელიც აქტიურობს. რომელიც „ჰიუსტონს“ უბრალოდ, აშიქში შემდეგი ორი დრაფტის პირველ წრეში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლებას აძლევს. ესეც საინტერესო წინადადებაა.

„ჰიუსტონი“ არასტაბილურია და თუ აშიქში იმ ოთხეულიდან რომელიმეს მიიღებს, „როკეტსში“ ბევრი რაღაც დაბალანსდება. „როკეტსი“ აგებს „სან ანტონიოსთან“ კლასით, „ოკლაჰომასთან“ ლიდერების დონით და „კლიპერსთან“ კრის პოლით. მილსაპის, ვარეჟაოს, ბასის ან იანგის გადასვლით, ბევრი პრობლემა მოგვარდება. ძალიან ბევრი. გაცვლის წინააღმდეგი არ არის „ჰიუსტონის“ გენერალური მენეჯერი დერილ მორი და რეალურად, ამ გაცვლას მხარს უჭერს „ჰიუსტონის“ მთავარი მწვრთნელი, მისტერ კევინ მაქჰეილიც. მთელი ეს ამბები 21 თებერვლამდე უნდა მორჩეს.

„ჰიუსტონში“ ბევრი რაღაც შესაცვლელია. კლუბმა უნდა მოუმატოს ან ბოსები ფრენჩაიზს კიდევ ერთხელ შეცვლიან. „ჰიუსტონში“ დუაიტ ჰოვარდი ჰაკიმ ოლაჯუონის, მოუზეს მელოუნის ჰამაკში ჩააწვინეს და ახალმა ცენტრმა ძველი ცენტრების გამოცდილება უნდა გამოიყენოს. ან „ჰიუსტონს“ გამოიყენებენ. „ჰიუსტონში“ ჯეიმს ჰარდენი ყველაფერს აკეთებს და ყველაფერს ასწრებს. „ჰიუსტონში“ ჯეიმსს ბევრის უფლებას აძლევენ და „ჰიუსტონში“ ეს მოსულა. „ჰიუსტონში“ სტივ ფრენსისიც თავისუფალი იყო. და ჰარდენი ცოტა სხვა მომენტია. კლუბი შეიცვალა და კლუბის ბოსებმა მკვლელი კომბინაცია მიიღეს. ჰოვარდი და ჰარდენი გკლავენ პერიმეტრზე და სამწამიანში. ჯეიმსი შესვლებით, უსისტემო პენეტრაციით გღლის და ჰოვარდი ცოტა სხვა მომენტია. დუაიტმა უნდა მოხსნას, დუაიტმა უნდა მოგხსნას და ჰოვარდი აგრესორია. როგორც ბენ უოლასი. როგორც ალონზო მურნინგი. დუაიტმა უნდა დაგამციროს და ჰოვარდი მომავალია.

„როკეტსის“ მეორე ცენტრი, ომერ აშიქი უკმაყოფილოა. მაღალმა თურქმა მოიწყინა.

ბარაკ ობამა თავის ნაცვლად სოჭში ლგბტ აქტივისტებს გზავნის

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ასეა თუ ისე, გადაწყვეტილია, რომ საქართველო სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს. ბოიკოტირების მომხრეთა აქტიურობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ოლიმპიადაზე საქართველო სამთავრობო დელეგაციით არ იქნება წარმოდგენილი.

ყოველ შემთხვევაში, დეკემბრის დასაწყისში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტელეკომპანია RT-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო სოჭში სამთავრობო დელეგაციით არ იქნება წარმოდგენილი: „მთავრობა სოჭში არ გაემგზავრება. წავლენ მხოლოდ სპორტსმენები და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა“.

ირაკლი ღარიბაშვილის იმ განცხადებას უმალ გამოეხმაურა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი. მისი თქმით, საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ სოჭში სამთავრობო დელეგაციის გამგზავრება მიზანშეწონილი არ არის და რომ ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ სპორტული დელეგაცია გაემგზავრება: «ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ სპორტი არ უნდა გაიგივდეს პოლიტიკასთან, ხოლო თუ ჩვენი მოწინააღმდეგე სპორტს იყენებს პოლიტიკური ინტერესებისთვის, საქართველომ იგივე ნაბიჯი არ უნდა გადადგას და სპორტსმენები უმნიშვნელოვანეს სპორტულ ფორუმზე უნდა გაემგზავრონ. საქართველოს დროშა უნდა ფრიალებდეს ოლიმპიურ თამაშებზე“.

ბარაკ ობამამ ოფიციალურ დელეგაციაში ბილი ჯინ კინგი საგანგებოდ შეიყვანა

ერთი სიტყვით, საქართველოსთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია. ახლა იმათზეც ვთქვათ, ვინც არ აპირებს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებას. თეთრი სახლის პრესსამსახურმა გამოაქვეყნა აშშ-ის დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალებს დაესწრება. აქედანვე ცნობილია, რომ ამერიკელთა დელეგაციაში არ იქნება პრეზიდენტი ბარაკ ობამა.

აშშ-ის პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება რუსეთში სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დარღვევისა და, საერთოდ, ანტი-გეი კანონის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო ნაბიჯად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მეტიც, ბარაკ ობამამ თამაშების გახსნა-დახურვის ცერემონიალებისთვის ოფიციალურ დელეგაციაში საგანგებოდ შეიყვანა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ქალთა ერთეულთა თანრიგში დიდი სლემის ტურნირების 12-გზის, წყვილებში 16-გზისა და შერეულ წყვილებში 11-გზის ტრიუმფატორი ბილი ჯინ კინგი, რომელიც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია (წლეულს, აგვისტოში, ბილი ჯინ კინგი გეი და ლესბოსელთა სპორტის დიდების დარბაზში შეიყვანეს).

იმავე დელეგაციაშია იმავე უმცირესობათა წარმომადგენელი ჰოკეიში, ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი და მსოფლიო ჩემპიონი კეტლინ კეჰოუ.

თეთრი სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის შინ ინუეს თქმით, დელეგაცია მიუთითებს ამერიკის საზოგადოების მრავალფეროვნებაზე და რომ მისი წარმომადგენლები დანარჩენ მსოფლიოს ამ მრავალფეროვნების საუკეთესო მხარეებს დაანახვებენ.

ადამიანის უფლებათა კამპანიის (Human Rights Campaign) პრესმდივანს მიშელ კოულ-შვარცს მიაჩნია, რომ რუსეთისადმი აშშ-ის ეს გზავნილი იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკაში ადამიანის უფლებები დაცულია, რომ ყველას აქვს საკუთარი თავის გამოხატვის უფლება.

ერთი სიტყვით, გადაწყვეტილია, რომ სოჭი-2014 გახსნის საზეიმო ცერემონიალს არ დაესწრება აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, პირველი ლედი მიშელ ობამა და ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი, ყოფილი პრეზიდენტი თუ მინისტრისა და უფრო მაღლა მდგომი ოფიციალური პირი. 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალისთვის დელეგაციის შემადგენლობაში არ იქნება აშშ-ის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, პირველი ლედი თუ ყოფილი პრეზიდენტი.

მართალია თეთრი სახლი დელეგაციის შემადგენლობის დასახელებისას არ უხსენებია საკანონმდებლო აქტი

ასევე გადაწყვეტილია, რომ სოჭის თამაშებზე არ გაემგზავრება საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი და გერმანიის პრეზიდენტი იოაჰიმ გაუკი - მიზეზი აქაც იგივეა: რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევა.

«უდაოა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლება წარმოდგენილი იქნება ოლიმპიადაზე, - აცხადებს ქვეყნის კანცლერი ანგელა მერკელი. - ადრეულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ესწრებოდნენ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები. ეჭვსგარეშეა ჩვენ ჩავალთ სოჭში. ეგაა, ჯერაც არ ვიცი, პირადად დავეწსრები თუ არა ამ თამაშებს. დარწმუნებული არ ვარ».